საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერისთავი შალვა

ერისთავი შალვა (გ. 24. II. 1921, ტაბახმელა), იუნკერი, ტაბახმელის ბრძოლის გმირი. ე. ირიცხებოდა ქართ. სკოლაში, იუნკერთა ქვეით ასეულში. 1921 იბრძოდა იუნკერთა რიგებში თბილ. მისადგომებთან რუს. მე-11 არმიის წინააღმდეგ. 24 თებ. ტაბახმელაზე გააფთრებული იერიში მიიტანეს რუსმა ჯარისკაცებმა. ბრძოლის კრიტ. მომენტში სანგრებში შემოვარდნილი მტრის უკუსაგდებად კონტრიერიშზე გადასულ იუნკრებს გზა გადაუღობა რუსების ტყვიამფრქვევმა, რ-თანაც პირველი ე. მიიჭრა და ხიშტით განგმირა მემიზნე ოფიცერი. ორთა ბრძოლაში თავადაც დაიღუპა.

მ. წურწუმია

Image not found or type unknown